შ.პ.ს. სპორტმშენსერვისი

№ 00009868

22/03/2023

შპს „სპორტმშენსერვისის“ დირექტორს
ბატონ გერონტი ცინდელიანს,
ამავე ორგანიზაციის
შესყიდვების უფროსი სპეციალისტის, ანა მაჭარაძის

მოხსენებითი ბარათი

მიმდინარე წლის 21 მარტს შპს „სპორტმშენსერვისი“-ს შესყიდვების სამსახურში შემოვიდა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტის მიხეილ ფიცხელაურის მოხსენებითი ბარათი №9794 ბალანსზე არსებულ ქ.თელავში მულტიფუნქციურ სპორტკომპლექსში სპილენძის ელექტრო კაბელის 5*10, 30 მ. (სადენის) საჭიროების შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით ბაზრის კვლევის შედეგად გამოვლენილი კომერციული წინადადების შესაბამისად შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს 588 ლარს. შპს „სპორტმშენსერვისი“-ს სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად აღნიშნული შესყიდვის ობიექტი (CPV-31300000) ექვემდებარება ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვას თუმცა გამომდინარე იქედან, რომ შესყიდვების ელექტრონული სისტემის მეშვეობით ერთი სატენდერო/საკონკურსო განცხადებისა და დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასური შეადგენს 50 ლარს, ხოლო ტენდერში/კონკურსში წინადადების წარმოუდგენლობის შემთხვევაში 25 ლარს, ხოლო პრეტენდენტის მხრიდან წინადადების წარდგენის საფასურის ოდენობა შეადგენს 50 ლარს, შესაბამისად, ამ შემთხვევაში, როდესაც შესყიდვის ობიექტის ღირებულება არ არის მაღალი, სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელება, სახსრების რაციონალური ხარჯვის თვალსაზრისით გაუმართლებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოცემული შესყიდვის ობიექტის შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 3 [1] პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

პატივისცემით,

ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N15ა
Tbilisi, Georgia, University str. N15a
☎ 0322 72 88 07
sportmshenservice@gmail.com
www.smsorg.ge

შპს "სპორტმშენსერვისი" / ადმინისტრაციული
სამსახური
შესყიდვების უფროსი სპეციალისტი
მაჭარაძე ანა